ხელშეკრულება N 294

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.ბათუმი 23 ოქტომბერი 2015 წ

ერთის მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტი (შემდგომში -შემსყიდველი), გამგებლის **ტარიელ ებრალიძის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ შპს „მათე მოტორსი მისი დირექტორის მინდობილობით პირის (მინდობილობა, 2015 წლის 20 იანვრის გაც შპს „მათემოტორსი“მიერ) აჭარის ფილიალის დირექტორის დომენტი ჩხეტიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10 მუხლის მე 3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის(შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება N 06 190,23.10.2015წ) საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა, განახორციელოს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის კუთვნილ ავტო მანქანის **მიცუბიში „პაჯერო“-ზე (სახ ნომერი GAM-018) სხვადასხვა ავტო ტექნიკური მომსახურებები,** შემდგომში „მომსახურება“, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით. (მომსახურების ჩამონათვალი მოცემულია **დანართში**, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს).

1.2 მიმწოდებელი ასრულებს, ხოლო შემსყიდველი ღებულობს შესრულებულ მომსახურებას და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტის შესაბამისად.

1.3 წინამდებარე ხელშეკრულება არეგურილებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის.

1.4 კლასიპიკატორის კოდი: **50100000**

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1000 (ათასი)** ლარს .

შემსყიდველის მიერ შესრულებული მომსახურების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ ათი საბანკო დღის განმავლობაში.

2.2 მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულენბული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, მომსახურების შესრულების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების დართვით.

2.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან ერთად დააფიქსიროს შესრულებული მომსახურების ღირებულება.

2.4 თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი მომსახურების მოცულობების ღირებულება არ შეადგინა აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ მომსახურების მოცულობების ანაზღაურებაზე.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

3.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და მომსახურების პირობების შესრულებას განახორციელებს შუახევის **მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი -მირიან ზოიძე** . შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშვალებებით და სხვა სამუშაო პირობებით იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელსეკრულების პირობებთან მიმართებაში.

4.2 თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

4.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

4.4 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად ანგარიშ ფაქტურის წარმოდგენისა და მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.5 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს წინასწარ ყველა იმ გარემოებების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას.

ბ) მომსახურების შესრულების დამოწმებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის მომსახურების სრული ღირებულება, მომსახურების დასრულებისთანავე.

5.3 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელსეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეარჩიოს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის სესახებ დადებული ხელსეკრულების მოქმედება.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.5 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულებების პირობები.

6.2 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელსეკრულების შესრულების წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში თუ:

ა) მიმწოდებელმა არ შეასრულოს მომსახურება ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.

ბ) თუ მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელსეკრულებით გათვალისწინებული სხვა თავისი ვალდებულებები.

6.3 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,25%-ს ყოველი ვადაგადაცილებლ დღეზე.

6.4 შემსყიდველის მიერ ხელსეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მიმწოდებლისათვის შესრულებული მომსახურების ღირებულების გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, შემსყიდველი მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით უხდის მომსახურების ღირებულების 0,05% ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

6.5 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელსეკრულების ჯამური ღირებულების 2% ს ხელსეკრულების მოქმედება. ვადამდე შეწყდება.

6.6 ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელსეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელსეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.5 მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

7.6 თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდა, რომ არსებობს რეალური საშიშროებას იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალებულებებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.7 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეტა სეთანხმების საფუძველზე.

7.8 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

7.9 ერთ ერთი მხარის [illegible] წინამდებარე ხელსეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე

მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

8. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

8.1 მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 10 ნოემბრამდე.

8.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2015 წლის 10 დეკემბრამდე

9. ფორს-მაჟორული სიტუაცია

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშვალო ზემოქმედებას ახდენენ ხელსეკრულების შესრულებაზე.

9.2 ხელსეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.3 მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთანავე მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში

10. დავები და მათი გადაწყვეტილების წესი

10.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანმხდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარებენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელსეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადავო საკითხების შეტანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს. თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. გადასახადები და ბეჟები

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. სხვა პირობები

13.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელსეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელნმოწერის მომენტიდან.

13.3 ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, თითო ეგზემპლიარი ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შუახევის მუნიციპალიტი	შპს ,,მათე მოტორსი“
მის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ.30.	მის.ქ.თბილისი,მტკვრის მარჯვენა სანაპირო 6
სახელმწიფო ხაზინა	სს ,,ბანკი რესპუბლიკა''
ბ/კოდი: TRESGE22	ბ/კოდი REPLGE22
ა/ნ GE 24NB 0330100200165022	ა/ნ GE53BR0000010977968548
ს/კ 247865145	ს/კ 204470063
შუახევის მუნიციპალიტეტის	შპს ,,მათე მოტორსის“ დირექტორის მინდობილი
გამგებელი: ტარიელ ეგრალიძე	პირი: დავითი ჩხეტია

დანართი

მიცუბიში პაჯერის მარკის ავტომანქანის (სახ. ნომერი GAM018)
შეკეთების ხარჯთაღრიცხვა

№	დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი	მომსახურების ღირებულება (ლარი)	სულ
1	კარდანი	ცალი	1	300	300	40	340
2	ძრავის ზეთი	ლიტრი	5	12	60	—	60
3	ძრავის ზეთის ფილტრი	ცალი	1	20	20	—	20
4	საჭის მექანიზმის მოხსნა, შეკეთება, დაყენება	სხვა				—	500
5	ელექტრო გაყვანილობის შეკეთება	სხვა					80
			ჯამი				1000